საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იოანე ღვთისმეტყველი

იოანე ღვთისმეტყველი, ი ო ა ნ ე მ ა ხ ა რ ე ბ ე ლ ი (გ. დაახლ. 26. IX. 110, ქ. ეფესო), ქრისტეს თორმეტ მოციქულთაგანი. სახარების, გამოცხადებისა (აპოკალიფსი) და სამი ეპისტოლეს ავტორი.

ი. ღ. თავიდან იოანე ნათლისმცემლის მოწაფე იყო, შემდგომ კი იესო ქრისტეს საყვარელი მოწაფე გახდა. იგი „სიყვარულის მოციქულადაც" იწოდება. მისი სახარებისა და ეპისტოლეების უმთავრესი თემა სიყვარულია.

უფლის მოციქულებიდან ი. ღ. ერთადერთია, რ-იც მოწამეობრივი სიკვდილით არ აღესრულა. მან 100 წელზე მეტხანს იცოცხლა. ქრისტიანული გადმოცემით, ი. ღ. იესო ქრისტესა და ღვთისმშობლის მსგავსად ხორციელად ზეცად ამაღლდა.

ი. ღ-ის იკონოგრაფიული ნიშანია არწივი, როგორც ღვთისმეტყველური აზრის აღმაფრენის სიმბოლო, რის გამოც ქრისტეს მოციქულთაგან მხოლოდ მას ეწოდა „ღვთისმეტყველი". მართლმადიდებელი ეკლესია მოციქულის ხსენების დღეს 8(21) მაისს აღნიშნავს.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი ი. ღ-ის სახელი სიყვარულსა და სიკეთესთან ასოცირდება. ძველი დროიდან მოყოლებული არაერთი ეკლესია-მონასტერია აშენებული ი. ღ-ის, იმავე იოანე მახარებლის სახელზე, მ. შ. გომისჯვრისა და სასხორის იოანე მახარებლის, თბილისის იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიები და სხვ.